ოქმი №8

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომისა, რომელიც გაიმართა სენაკის სამხატვრო გალერიის შენობის სხდომათა დარბაზში 2023 წლის 27 დეკემბერს.

სხდომა დაიწყო 12:00 საათზე, დამთავრდა 12:20 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის წევრები – გ. წურწუმია, ე. ოდიშარია, ლ. ჯინორია, ბ. კალანდარიშვილი, ბ. შარტავა, გ. ოდიშარია, ზ. სანაია, ე. ბაღათურია.

ასევე ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - ლ. უჩანეიშვილი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ზ. ნაჭყებია.

სხდომას თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე – გ. წურწუმია.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2023 წლის 6 ნოემბერს დარეგისტირებული სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილის ბესიკ ნარმანიას ინიციატივის განხილვის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. წურწუმია

2. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2023 წლის 22 ნოემბერს დარეგისტირებული სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,სენაკი საქართველოსთვის“ თავმჯდომარის ირაკლი კაჭარავას ინიციატივის განხილვის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. წურწუმია

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს (მომხრე – 8; წინააღმდეგი – 0). სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიამ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს: 1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2023 წლის 6 ნოემბერს დარეგისტირებული სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილის ბესიკ ნარმანიას ინიციატივის განხილვის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. წურწუმია

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2023 წლის 6 ნოემბერს დარეგისტირებული სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილის ბესიკ ნარმანიას ინიციატივა - სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ,,სამხედრო დასახლებას“ ეწოდოს ,,პატარა აფხაზეთი“.

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს რომ წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით მიზანშეწონილია მოხდეს მოსახლეობასთან შეხვედრა და მსჯელობის შემდეგ იქნეს მიღებული გადაწყვეტილება.

აზრი გამოთქვეს: ზ. სანაიამ, გ. ოდიშარიამ, ე. ბაღათურიამ, ზ. ნაჭყებიამ, ლ. უჩანეიშვილმა, გ. წურწუმიამ.

კომისიის წევრებმა განიხილეს რა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი, ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 6, წინააღმდეგი - 2) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. უარი ეთქვას სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილის ბესიკ ნარმანიას მიერ წარმოდგენილ ინიციატივას - სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ,,სამხედრო დასახლებას“ ეწოდოს ,,პატარა აფხაზეთი“.

მოისმინეს: 2. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2023 წლის 22 ნოემბერს დარეგისტირებული სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,სენაკი საქართველოსთვის“ თავმჯდომარის ირაკლი კაჭარავას ინიციატივის განხილვის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. წურწუმია

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2023 წლის 22 ნოემბერს დარეგისტირებული სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,სენაკი საქართველოსთვის“ თავმჯდომარის ირაკლი კაჭარავას ინიციატივა - ახლადრეაბილიტირებულ სხდომათა დარბაზის სახელდებასთნ დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ე. ბაღათურიამ, ზ. სანაიამ, გ. ოდიშარიამ, ზ. ნაჭყებიამ, ლ. უჩანეიშვილმა, გ. წურწუმიამ.

კომისიის წევრებმა განიხილეს რა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი, ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 5, წინააღმდეგი - 3) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. უარი ეთქვას სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,სენაკი საქართველოსთვის“ თავმჯდომარის ირაკლი კაჭარავას მიერ წარმოდგენილ ინიციატივას - ახლადრეაბილიტირებულ სხდომათა დარბაზის სახელდებასთნ დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარე: გიგა წურწუმია